საადგილ-მამულო ბანკი

და

დაარსება ფონდისა

ახალის საქმისათვის

თბილისი
ელექტრო-მბეჭდავი „სოარაპანი“, მადათოვის კუნძული №1
1914

საადგილ-მამულო ბანკი
და დაარსება ფონდისა ახალის საქმისათვის

I

1864 წელს შემოდგომაზე ქართლ-კახეთი ბატონ-ყმობის გადავარდნის მოლოდინში იყო. გლეხკაცობას უნდა გამოსცხადებოდა, ამიერიდან თავისუფალი ხარ ბატონ-ყმობისაგან და თავადაზნაურობას შენთან საქმე აღარ ექმნებაო. ასეთი დიდი ცვლილება, რასაკვირველია, ისე არ ჩაივლიდა, რომ ძირიან-ფესვიანად არ შეერყია ნივთიერი მდგომარეობა თავადაზნაურობისა, რადგან მისი კეთილ-დღეობა უმთავრესად ყმების სავალდებულო შრომასა და გამრჯელობაზედ იყო დამოკიდებული. რაკი ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, ცხადია, მასთანავე ერთად, უნდა გადავარდნილიყო და მოსპობილიყო სხვა და სხვა სამსახური და გადასახადი გლეხკაცისა მემამულეთა სასარგებლოდ.

ტფილისის გუბერნიის მაშინდელმა წინამძღოლმა, დიმიტრი ივანეს-ძემ ყიფიანმა წინ და წინვე დაინახა, რა ნივთიერ გაჭირვებაშიც ჩავარდებოდა თავად-აზნაურობა ბატონ-ყმობის მოსპობითა და ამიტომ შეუდგა იმ ფიქრს, თუ რა გზითა და ღონით შეიძლებოდა, ცოტად თუ ბევრად, შესუსტებულიყო ის მდგომარეობა, რომელიც მოელოდა თავად-აზნაურობას. დ. ი. ყიფიანმა ერთ-ერთ ასეთ ღონედ მიიჩნია სწავლა-აღზრდა თავად-აზნაურთა შვილებისა. მხოლოდ სწავლა-განათლებას, ახალ-თაობის აღზრდას და არა-რას სხვას, შეუძლიან, ჩემის აზრით, დაიხსნას თავად-აზნაურობა გა-

ღატაკებისა და დაღუპვისაგანაო, ფიქრობდა მაშინ დ. ყიფიანი. მაგრამ სწავლა-აღზრდისათვის დიდი ფული და თანხა იყო საჭირო და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას-კი ასეთი ფული და თანხა არ გააჩნდა. მაშინდელ თავად-აზნაურობას არც ბავშვების აღსაზრდელი და არც არავითარი სხვა თანხა არა ჰქონდა და იმ თითო-ოროლა სტიპენდიის ანაბარად იყო, რომელიც მთავრობას ჰქონდა დაარსებული საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. მაშინდელ დეპუტატთა საკრებულოს შეძლება იმდენად მცირე იყო, ხაზინა მისი იმდენად გამოფხეკილი, რომ თავის ორიოდე მოხელესა და მოსამსახურე ბიჭს ჯამაგირსაც ვერ აძლევდა, ხოლო სახლის ქირა წლობითა რჩებოდა გადაუხდელი. 12 იანვარს 1868 წელს საკრებულოს ხაზინადარი კოლეჟსკი სეკრეტარი ასლამაზოვი სწერს რაპორტს წინამძღოლსა და სთხოვს, 15 მ. 50 კ. მიბოძეთ, რადგან ჩემის საკუთარ ჯიბიდან დავხარჯე ეს ფული ბანკის წესდების პროექტის გადასაწერად, სანთელი ვიყიდე, მელანი, ქაღალდი, საწერ-კალამიო. აქედან გადამწერელს პეტრე მაქსიმოვს უნდა მიეცეს 6 მან., ა. ვიბერგალს – 2 მ. და იაკობ ზალინოვს – 25 მ. 50 კაპიკიო. დ. ი. ყიფიანს ამ რაპორტზედ საკუთარის ხელით დაუწერია: „თავის დროზედ ზედამხედველს კომიტეტს წარედგინოსო“.

თავისუფლების გამოცხადების დღეს, 8 ნოემბერს 1864 წ., მოელოდნენ ხელმწიფის წყალობას. ეს ის წყალობა იყო, რომ თავად-აზნაურს თითოეულ განთავისუფლებულ ყმაში 25 მ. უნდა მისცემოდა. თითქმის ყველამ წინ და წინვე იცოდა, რომ ამისათვის 2 მილიონამდე ფული იყო გადადებული. დ. ყიფიანმა იფიქრა, ამ მშვენიერ შემთხვევას ჩავჭიდებ ხელს და ვეცდები

ცალკე თანხა გამოვაღებინო თავად-აზნაურობას შვილების აღსაზრდელადაო. ამ აზრით შეადგინა მოწოდება და მრავლად დააბეჭდინა ქართულად და რუსულად. მთავრობის ნება-რთვით, ეს მოწოდება დაუგზავნა მაზრის მარშლებს და სთხოვა, ყოველ თავადსა და აზნაურს გააგებინეთ მისი შინაარსით. დიმ. ყიფიანი ამბობს ამ მოწოდებაში, ჩვენმა გლეხ-კაცებმა თავისუფლება დაიმკვიდრეს, ხოლო ჩვენ, მათის პირადის სამსახურის სანაცვლოდ, ხელმწიფის უხვებისაგან დაგვენიშნა სამაგიერო საჩუქარი ფულადაო. საცა სამართალია, წინდახედულობის მოვალეობა უნდა გვაიძულებდეს, ან სულ მთლად ის ფული, ანუ უმეტესი მისი ნაწილი მაინც, ჩვენთა მემკვიდრეთათვის გადავდოთ,

მაგრამ ბევრნი ამას იტყვიან, ჩვენ თითონ დიდს გა-
ჭირვებაში ვართ და ამიტომ თითოეულს ჩვენგანს ნება
აქვს გაჰყიდოს ან სხვაფრივ გამოიყენოს თავისი ქონება
და თავის შთამამავლობას არა დაუტოვოს-რაო.

ამისთანებთან რა დავა შეგვიძლიან. იმ მამებს არც
მივმართავ, რომლებიც სრულის შეგნებით ჰგონებენ,
ჩემს ქონებას, როგორც მინდა, ისე მოვიხმარ და შვი-
ლების დარდი არა მაქვსო. მივმართავ მხოლოდ იმათ,
ვინცა ჰგრძნობს, რა წოდებას ეკუთვნის და რა კერძო
და საზოგადო ვალდებულება აქვს დაკისრებული.

მე იმას როდი მოგახსენებთ, მისაღები ფული მთლად
შეუნახოთ ჩვენს შთამამავლობასა მეთქი; არა – მი-
იღეთ და მოიხმარეთ, როგორც გენებოთ, თქვენის სა-
კუთარის საჭიროებისათვის უმეტესი მისი ნაწილი. ამასა
გთხოვთ მხოლოდ, რომ **ერთი მეხუთედი** გადასდეთ
და დაიუნჯეთ **თქვენთვისვე,** თქვენის შვილებისა
შვილიშვილებისა და შემდეგის შთამამავლობისათვის.
ამ გადადებულის ფულით ისეთი თანხა შესდგება, რო-
მლითაც შესაძლო იქნება დაარსება კანონით ნება-
დართულ სათავად-აზნაურო ბანკისა.

– 4 –

ყველანი ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ
ის ფული, რომელსაც ახლა მივიღებთ, მალე გაგვიქრე-
ბა ხელში, ხოლო რაც უფრო მალე გაგვიქრება, მით
უფრო მალე მოგვადგება კარ-წინ უფრო დიდი გასა-
ჭირი.

და იმის მაგიერ, რომ მაშინ სხვა რამ წყაროს
ანუ კერძო სესხს მივმართოთ, განა უკეთესი არ იქნება,
უფრო ხელსაყრელი არ იქნება, საჭირო ფული ავი-
ღოთ ჩვენის საკუთარ ბანკიდან, მეტადრე როცა თვით
ჩვენზევე იქმნება დამოკიდებული გადაწყვეტა იმისი, თუ
რა სარგებელი ვახდევინოთ ფულის ამღებს და რა პირო-
ბით გავასტუმრებინოთ ვალი.

ეს ხომ კარგად ვიცით, როგორა ბარტყობს კერ-
ძოდ აღებული ვალი. ესეც ვიცით, რომ, თუ ვადაზე
ვერ შეიტანეთ პრიკაზში გადასახადი, მამული საჯაროდ
იყიდება და სამუდამოდ ხელიდან გვეცლება.

განა რა დაგვიშლის, ისეთი სარგებელი დავაწესოთ,
რომელიც ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იქმნება. განა
რა დაგვიშლის, მაგალითად, ისეთი წესი შემოვიღოთ,
რომ სარგებლის გადაუხდელობისათვის ჩვენს ბანკში მა-
მული კი არ იყიდებოდეს, არამედ ბანკსავე რჩებოდეს
დროებით მოსავლელად, ვიდრე ვალი გასტუმრებულ
იქმნება, ესე იგი რომ მოვალეს, მის შვილსა ანუ შვი-
ლიშვილს ყოველთვის შეეძლოს უკანვე დაიბრუნოს
თავისი მამული.

ეს კიდევ ცოტაა. მოგეხსენებათ, რომ ბანკში

ფული ჰბარტყობს და იმდენად უფრო მეტად, რამდენადაც სახეირო იქმნება კერძო ფულის პატრონთათვის, იქ შეინახოს თავისი ქონება. ჩვენ მიერ შეტანილი აბაზი 8, 10, 15 წლის შემდეგ შეიძლება ერთი ორად
და ერთი სამად გადაიქცეს და რა დაგვიშლის ვითომ

მაშინ, უკანვე დავიბრუნოთ ის აბაზი, თუ-კი უსათუოდ მოვინდომებთ ამასა, ესე იგი თუკი არ ვინდომებთ მის დათმობას ჩვენის შთამამავლობის სასიკეთოდ.

ყოველ შემთხვევაში, დასთმობთ თუ არ დასთმობთ მანეთზედ ამ ერთს აბაზს თქვენის შთამამავლობისათვის ან შეიტანთ ბანკში დროებით, – მით მაინც ისეთს წყაროს გაიჩენთ, საიდანაც კერძოდ თქვენც შეგეძლებათ სვათ წყალი ცხოვრებისა და თქვენს შთამოებასაც არასოდეს არ მოაკლდეს.

ახლა იფიქრეთ, თუ ბანკის წმინდა მოგების მეტსა თუ ნაკლებს ნაწილს ახალგაზრდობის აღსაზრდელად გადასდებთ, რაოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მშობლიურ მოვალეობას და რაოდენად დაეხმარებით თქვენის წოდების ზნეობრივს განვითარების ამაღლებას.

ნუ აჩქარდებით და უარს ნუ ბძანებთ. აჩქარება კარგია კარგსა და კეთილს საქმეში, ხოლო უარის თქმა ამისთანა საქმეში – გულ-ახდით მოგახსენებთ – ისეთი ცუდი საქმე იქმნება, რომ მის გამოსწორებას ვეღარავინ შესძლებს. ჩაუფიქრდით ამ საქმეს, როგორც თქვენს ღირსებას ეკადრება. შემდეგ ერთად შევიკრიბნეთ და ერთადვე გადავსწყვიტოთ“.

ქართულად დაწერილს მოწოდებას, რომელიც დ. ყიფიანმა დაუგზავნა მაზრის მარშლებს 31 აგვისტოს 1864 წელს, ბოლოში დართული აქვს ერთი დამახასიათებელი წინადადებაცა. მოგვყავს ეს წინადადება სიტყვა-სიტყვით:

„თვითონ ჩვენი მარშალი რას იმეტებსო, თუ იკითხა ვინმე, მე დიდი სიამოვნებით გადავდებ ნახევარს იმ ფულიდამ, რაც ჩემსა და ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება, ე. ი. 50%; ერთი სიტყვით, რასაც უეზდის შეკრებილება დააწესებს, მეც სიხარულით თანაწარჰვხდები,

ოღონდ ნაკლები არ იყოს მანეთზედ აბაზისა; – ეს საქმე დიდი საქმეა ჩვენთვის და განსაკუთრებით თქვენგან. უძვირფასესო კნიაზო, დიდს შემწეობას ველი, რომ კეთილად წარიმართოს“.

თავად-აზნაურობის წინამძღოლს უნდოდა, რომ ამ დიდ საქმისათვის მომხრეობა გაეწიათ უფრო გავლენიან კაცებსა და ამიტომ დ. ყიფიანმა მიჰმართა კერძო

წერილით: თ-დ ივანე მალხაზის-ძეს ანდრონიკაშვილს, დიმიტრი თამაზის-ძეს ორბელიანს, გიორგი რომანოზის-ძეს ერისთავს, რევაზ ივანეს-ძეს ანდრონიკაშვილს, დავით ალექსანდრეს-ძეს ჭავჭავაძეს, რამაზ დიმიტრის-ძეს თარხან-მოურავს, დიმიტრი ივანეს-ძეს აბხაზს, იაკინთე დიმიტრის-ძეს ალექსი-მესხიშვილს, ზაქარია სტეფანეს-ძეს ავთანდილოვს, კონსტანტინე ქაიხოსროს-ძეს მამაცაშვილს, გაბრიელ ივანეს-ძეს ყორღანაშვილს და თ. გრიგოლ დიმიტრის-ძეს ორბელიანს. წიგნი, მიწერილი გრიგოლის მიმართ, იმდენად საყურადღებოა და დამახასიათებელი, რომ არ შეიძლება მთლად არ მოვიყვანოთ. აი თვით ის წიგნიცა, დაწერილი და გაგზავნილი 31 აგვისტოს 1864 წელს №177:

მოწყალეო ხელმწიფეო, კნიაზო გრიგოლ დიმიტრის-ძე! კერძობითად მე იქნება დანაშაული მიმიძღოდეს რამე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყო წყრომისა, – თუმცა-კი დიდის სიამოვნებით შევინანიებდი, რომ ვიცოდე; მაგრამ რაც მოჰხდა-მოჰხდა; მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მოვმართავ თქვენს ბრწყინვალებასა: დიდს შემწეობას გევედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც, უეჭველია ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენის კეთილის გულისაგან შეუწყნარებლად განაგდებთ.

პირი მომირთმევია ამასთანავე უეზდის მარშლებთან ჩემის მიწერილობისა და საქმეს აქედან მოიხსენებთ. თუ თქვენის სახიერის გრძნობით სასარგებლოდ ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენის საზოგადოებისათვის, პირად ჩემს დამდურებას ნუღარ მოიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენის სიტყვითა და მონაწილეობითა.

უღრმესის პატივისცემით და მარად ერთგულებით დავშთები"...

მოწოდება დ. ი. ყიფიანისა და მისი წერილები ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ დიდის თანაგრძნობით მიიღო. 26 ოკდომბერს 1864 წელსა სიღნაღისა, ტფილისისა, გორისა და თელავის მაზრის მარშლებმა სთხოვეს გუბერნიის წინამძღოლს, ნებართვა აიღეთ მთავრობისა – საგანგებო სამაზრო კრებანი გავმართოთ და განვიხილოთ ეგ საქმე სათავად-აზნაურო თანხის შედგენისა ჩვენის შვილების აღზრდა-სწავლისათვისაო.

საგანგებო სამაზრო კრებანი მოჰხდა გორში 17 დეკემბერს 1864 წელოს, ტფილისში – 15 იანვარს, სიღნაღში – 28 იანვარს და თელავში – 2 თებერვალს 1865 წელსა. ყველა სამაზრო საგანგებო კრებაზედ დ. ი. ყიფიანი თვით დაესწრო და ყოველსავე წვლილს განუმარტებდა კრებას.

გორის მაზრის საგანგებო კრებას დაესწრო 106 კაცი. 74 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 32-ისა შეწყნარებულ იქმნა აზრი გუბერნიის წინამძღოლისა და გადასწყდა: სათავად-აზნაურო თანხის შესადგენად და ბანკის დასაარსებლად გადადებულ იქმნას 20%, იმ სასყიდლისა, რომელიც უნდა მოგვეცეს გლეხთა პირადის სამსახურის სანაცვლოდ, ესე იგი 1/5 ნაწილი, – სახელდობრ 5 მან. თითოეულ გლეხზეო. იმ ორს აზრს, რომელიც გამოითქვა ამ კრებაზედ, შემდეგ მიემხრო 86

კაცი იმათ შორის, ვინც კრებას ვერ დაესწრო. ამათში უმეტესობას – 77 ხმა, ხოლო უმცირესობას – 9. ბოლოს ერთმა უმცირესობის მომხრეთაგანმა თ-მა სარდიონ ციციშვილმა გამოაცხადა, მეც უმრავლესობას ვემხრობიო, მხოლოდ გთხოვთ, რაც ჩემგან ბანკისათვის გამოსარიცხი იყოს, ის ფული დამიჭიროთ მაშინ, როცა საკომლოებს შეისყიდიან გლეხნიო. ამ გვარადვე ერთმა უმრავლესობის მომხრეთაგანმა, თ-მა ასლან წერეთელმა ითხოვა, ნახევარი ჩემის გამოსაღების ფულისა დამიჭირეთ საკომლოების გამოსყიდვის ფულიდანაო. ამ ნაირად იმათ შორის, ვინც წერილობით გამოაცხადა თავისი აზრი 1865 წლის 1-ლ მარტამდე, აღმოჩნდა 152 მომხრე ბანკის დაარსებისა, ხოლო 40 – წინააღმდეგი.

უმრავლესობის მომხრეთა შორის სამმა: არტილერიის გენერალ-მაიორმა კონსტანტინემ, სტატსკი სოვეტნიკმა იოსებმა და პორუჩიკმა ილია მამაცაშვილებმა ცალკე წერილით აუწყეს თავად-აზნაურობას, რომ ჩვენი ხვედრი ფული მთლად შეგვიწირავს ბანკის დასაარსებლადაო. ერთმა პრაპორჩიკშა, მიხ. ქავთარაძემ რაკი ყმები არა ჰყვანდა, შესწირა 300 მან. და ერთმა კოლეჟსკი სეკრეტარმა ყანჩელმა, რადგან იმასაც ყმები არა ჰყვანდა, შესწირა 100 მან.

ტფილისის სამაზრო კრებას დაესწრო 70 კაცი და ისვე გადასწყვიტა, რაც გორის მაზრის კრებამ 68 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 2 ხმისა. შემდეგ 1865 წლის 1 მარტამდე უმრავლესობის გადაწყვეტილებას მიემხრო იმათ შორის, მანც პირველ კრებაზედ ვერ მოვიდა, 9 კაცი. ორმა მათგანმა ტიტულიარნი სოვეტნიკმა ლეო ნიდმა და იუნკერმა ივანემ, თ-დმა ბარათაშვილებმა, რაკი ყმანი არა ჰყვანდათ, შესწირეს ბანკის დასაარსებლად განსაზღვრული შემოსავალი თავისის მამულისა 15

წლის განმავლობაში. ამ სახით, ტფილისის მაზრაში ბანკის დაარსების აზრს მიემხრო 77 ხმა, ხოლო წინააღმდეგი იყო 2 ხმა. ბოლოს ერთმა უმრავლესობის მომ-

ხრეთაგანმა, – თ-დმა ივანე ალექსანდრეს-ძემ მელიქი-
შვილმა ცალკე ქაღალდით ითხოვა, მზგავსად ზემორე
მოხსენებულთა, ჩემი ხვედრი ფული ბანკის სასარგებ-
ლოდ საკომლოების გამოსასყიდელ ფულიდან დამიჭი-
რეთო.

სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის კრებაზე გა-
მოცხადდა 63 კაცი. „სიღნაღის თავად-აზნაურთა კრება
გულითა და სულით თანაუგრძნობს საერთო სასარგებლო
საქმეს, ამიტომ ერთხმად აცხადებს თანხმობას, შესწი-
როს ბანკის სასარგებლოდ 20% იმ ფულისა, რომელიც
გვერგება გლეხთა პირადის სამსახურის სანაცვლოდაო".
ბოლოს ცალკე წერილებით თანხმობა გამოაცხადეს კი-
დევ 77 კაცმა. მათ შორის კნ. სალომე ჯორჯაძისამ, 1/5
ნაწილის გარდა, თავის ჯიბიდან შესწირა 200 მან. ამ
გვარად, სიღნაღის მაზრაში კეთილ საქმეს მიემხრო სულ
140 კაცი, ხოლო წინააღმდეგი არც ერთი არ აღმო-
ჩნდა მათ შორის.

დასასრულ, თელავის მაზრის თავად-აზნაურობის
კრებაზედ თავი მოიყარა 58 კაცმა და ყველამ ერთხმად
შეიწყნარა აზრი ბანკის დაარსებისა და მის სასარგებლოდ
კუთვნილის ფულის ერთის მეხუთედის შეწირვისა.
მხოლოდ ერთმა მის უდიდებულესობის ამალის გენერალ-
მაიორმა თ-დმა ჭავჭავაძემ გამოაცხადა ცალკე წერილით,
რაკი ამ ჟამად ნივთიერად შევიწროებული ვარ, გთხოვთ
ხვედრი ფული, რომელიც საკმაოდ დიდის რაოდე-
ნობისაა, დამიჭიროთ მაშინ, როცა საკომლოები შეის-
ყიდონ ნაყმევებმაო. შემდეგ ამ 55 კაცს მიემხრო ცალ-
კე წერილობითის განცხადებით კიდევ 5 კაცი, მათ შო-

რის 2-მა – მღვდელმა იერემია ხირსელმა, აზნაურთაგანმა
და აზნაურმავე გამყრელიძემ, რომელთაც ყმები არა
ჰყვანდათ, შესწირეს თავიანთ მხრივ ბანკის დასაარსებ-
ლად ათ-ათი თუმანი. სულ თელავის მაზრაში მომხრე
აღმოჩნდა 63 კაცი, ხოლო წინააღმდეგი არც ერთი.

სულ ტფილისის გუბერნიის ოთხსავე მაზრაში ბან-
კის დაარსების მომხრე აღმოჩნდა 432, ხოლო წინააღმ-
დეგი 42 (უმრავლესობაში იყო 172 აზნაური და 260
თავადი). 19 აპრილს 1865 წელს უმრავლესობა ავიდა
492 კაცამდე*). შედეგი სამაზრო საგანგებო კრებათა
10 მარტს 1865 წელს გუბერნიის მარშალმა აუწყა გუ-
ბერნატორს და სთხოვა, წარუდგინეთ მთავრობას და-
სამტკიცებლადაო. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ
თავად-აზნაურობის გადაწყვეტილების დასამტკიცებლად,
როცა ამ გადაწყვეტილებით არსდება სათავად-აზნაურო
თანხა ფულის გამოღებით (მე-IX ტ. კან. კრებულისა,
მუხლი 122) საჭიროა, რათა გადაწყვეტილება შეწყნა-
რებული იყოს ხმათა 2/3 უმეტესობით, ხოლო ამ შემ-

თხვევაში უმრავლესობა ათია და წინააღმდეგი ერთიო.

29 მაისს 1867 წელს დ. ი. ყიფიანმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ თავად-აზნაურობის საგუბერნიო კრებამ ერთხმად გადასწყვიტა 6 მაისს 1867 წელს დააარსოს საზოგადო ბანკი, ხოლო ამ საქმის სხვა და სხვა წვლილის შესამუშავებლად, წესდების შესადგენად და მის განსახორციელებლად დაადგინა 8 მაისის გადაწყვეტილებით ცალკე კომიტეტის დაწესებაო.

*) 19აპრილამდე 1865 წლისა იმათ შორის, ვინც მიემატა უმრავლესობას, იყვნენ აზნაურნი: გრიგოლ აბელის-ძე საარუნი – გამაზოვი და ძმანი მისნი: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი მათე და ხუროთმოძღვარი ნიკოლოოზ აბელის ძენი საარუნი-გამაზოვები. 26 მაისს 1865 წელს მიემატა უმრავლესობას პორუჩიკი მორთულაძეცა.

აცნობა ესა და სთხოვა, იშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რათა მთავრობამ ამ კომიტეტის დაწესების ნებართვა გვიბოძოსო. ეს ნებართვა თავის დროზე მიღებულ იქმნა.

სამაზრო კომისიების მიერ დაჭერილი ფული მოგროვდა ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში. სულ შეგროვდა 73,314 მ. 31 კ. ამ ფულს სარგებელი ზედ შეეკეცა და 1870 წლის 6 ოკდომბერს უკვე 80,000 მ. ავიდა.

ბანკის წესდების შემუშავებასა და მის დამტკიცებას თითქმის ათი წელიწადი მოუნდა. მის ძირითად თანხად დაიდო ზემოხსენებული 80.000 მ. და უმაღლესად ნაბოძები 160,000 მ. – ნაშთი იმ 2 მილიონისა, რომელიც გადადებული იყო მთავრობისაგან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დასაჯილდოვებლად ჩამორთმეულ ყმათა პირადის სამსახურის სანაცვალოდ.

ტფილისის გუბერნიის წინამძღოლი ჰგონებდა, რომ 20 %-ის დაჭერით იმ ფულიდან, რაც თავად აზნაურობას ერგება ყმების პირად სამსახურის სანუფქოდ, შესდგება კარგა მოზრდილი თანხა, ასე 300-400 ათასი მანეთიო. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. სულ შეგროვილ იქმნა მხოლოდ 73, 314 მ. 31 კ. **) ამ ფულმა ისარგებლა თითქმის ხუთის წლის განმავლობაში და შესდგა 1870 წლის ოკდომბრისთვის 80,000 მან. მართალია, ამ მხრივ იმედი და მოლოდინი დ. ი. ყიფიანისა არ გამართლდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა მხრივ, ესე იგი შეგროვილი თანხა, ბანკის დასაა-

**) თელავის მაზრის თავად-აზნაურობის ფული ოყო 19,431 მ. 70 კ. არქივში, საცა ეს საქმე იყო და საიდანაც ამოკრებილია აქ მოხსენებულნი ცნობანი, არ არის ნათქვამი, რამდენი შეგროვდა სხვა მაზრებში.

რსებლად დადებული, მუდმივს ზრდაში იქნებაო, სავსებით ასრულდა, ასრულდა ისე, რომ ყოველს იმედსა და მოლოდინს გადააჭარბა.

თავის შესანიშნავს მოწოდებაში, რომლითაც მიჰმართა თავად-აზნაურობას, დ. ი. ყიფიანი სწერდა: „მოგეხსენებათ, ბანკში ფული ბარტყობს იმდენად უფრო მეტად, რამდენადაც სახეირო იქმნება კერძო ფულის პატრონთათვის, იქ შეინახოს თავისი ქონება. ჩვენ მიერ შეტანილი აბაზი 8, 10, 15 წლის შემდეგ შეიძლება ერთი ორად და ერთი სამად გადაიქცეს"... ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი, რომლის ძირითად თანხად იქმნა დადებული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მიერ 80,000 მან., მცირე ხნის განმავლობაში (38 წელი), გაიზარდა და გადაიქცა დიდ, მტკიცე საიპოტეკო დაწესებულებად. ყოველ-წლიური მისი მოგება, ხარჯ-გამოუკლებლივ, ადის 700-800,000 მანეთამდე. ხოლო წმინდა მოგება, რომელიც რამდენიმე ასი-ათასია ხოლმე, ასაზრდოებს თითქმის ყველა ჩვენს საზოგადო დაწესებულებას. მარტო ერთი სათავადაზნაურო გიმნაზია, საცა სწავლობს 800 ახალგაზრდა, ჰხარჯავს ყოველწლივ 100,000 მანეთამდე, რომელსაც იღებს სათავადაზნაურო ბანკის წმინდა მოგებიდან. 38 წლის განმავლობაში ტფილისის სათავადაზნაურო ბანკს გაუღია საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად სულ სამ მილიონ მანათზედ მეტი (3,040,834 მ. 47 კ.)

II.

თავად-აზნაურობის ცალკე თანხისა და ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დაარსების ამ მოკლე ისტორიულ მიმოხილვიდან სჩანს, რა დიდის საქმის გაკეთებით დაგვირგვინდა, იქვე ბატონ-ყმობის

გადავარდნის განთიადზედ დასაწყისი ბატონ-ყმობის გადავარდნისა და გლეხ-კაცობის განთავისუფლებისა საქართველოში. დღეს, ამ 1914 წელს, როცა უკვე თითქმის ნახევარ საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საგლეხ-კაცო რეფორმა იქმნა შამოღებული ჩვენში, მოწმენი ვართ ამ დიდებულის საქმის – გლეხთა განთავისუფლების დამთავრებისაცა. დადგა ის ჟამიცა, როცა უნდა აღსრულდეს და გამართლდეს ის დაპირება, რომელიც იკისრა ზოგიერთმა თავადმა და აზნაურმა 1864 წელს, დაიჭირეთ სათავად-აზნაურო თანხის სასარგებლოდ ჩემ ხვედრ ფულიდან მეხუთედი, როცა საკომლოებს შეისყიდიან ჩემნი ნაყმევნიო.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონის ძალით, დროებით-ვალდებულ დამოკიდებულობას და ბატონ-ყმობის ყოველ ნაშთს ბოლო უნდა მოეღოს წელს, რადგან ნაყმევთათვის სავალდებულოა ახლა შესყიდვა საკომლოებისა ხაზინის დახმარებით. შარშანდელი 1913 წელიწადი მოუნდა ამ სხვადასხვა მოსამზადებელ ღონისძიებათა გარკვევას და წინასწარ ანგარიშების შედგენასა; ამ წლიდან-კი დაიწყება გაძლიერებული მუშაობა გამოსასყიდ პირობათა შედგენისა და, მათ დამტკიცებისათანავე საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსაგან, ფულიც მიეცემათ მემამულეებს იმ საკომლოებისათვის, რომელიც ამიერიდან გლეხ-კაცთა საკუთრებად გადაიქცევა.

ტფილისის გუბერნიაში უნდა გამოსყიდულ იქმნას 98,500 დესეტინა საკომლოებისა და მამულის პატრონებმა უნდა მიიღონ დაახლოვებით ხუთ მილიონამდე (4,917,864 მ.). აქედან ახალ-ქალაქის მაზრას ერგება 1,917,864 მ., ახალციხის მაზრას – 1,085,259, ტფილისის მაზრას – 572,259 მ., ბორჩალოს მაზრას – 353,868

მან., გორის მაზრას – 1,026,275 მ., დუშეთის მაზრას – 346,717 მ., სიღნაღის მაზრას – 281,566 მ., თელავის მაზრას – 169,700 მ. და თიანეთისას – 54,690 მანეთი.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში ნება-ყოფლობით სულ არავის შეუსყიდნია საკომლო მამულები და ამიტომ იქ გამოსასყიდი ფული უფრო ბლომად ერგებათ მამულის პატრონებს, ვიდრე გუბერნიის სხვა მაზრებში. უნდა გვახსოვდეს ისიცა, რომ იმ ორ მაზრაში თავადაზნაურთა წოდებას ეკუთვნის მხოლოდ ოთხი გვარი: მუსხელაანი, ორბელიანები, ქანანოვები და ტომაშევიჩები. დანარჩენი უმრავლესობა მამულის პატრონთა ბეგები და აღალარები არიან, თუმცა შთამომავლობით ქართველნი, გარნა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა შორის არ ჩარიცხულნი. ესევე უნდა ითქვას ქართველ კათოლიკეთა და იმ სომეხთა მამულის პატრონების შესახებ, რომელნიც ოსმალეთიდან არიან გადმოსახლებულნი. თუ გამოვრიცხავთ იმ ფულს, რაც საკომლოებში ერგებათ ახალქალაქსა და ახალციხის მაზრის მემამულეებს, დარჩება მხოლოდ 2,313,053 მან. აი რაოდენობა იმ ფულისა, რომელიც ამ 1914 წელს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ხელში გადავა.

სასურველია, ეს დიდებული საისტორიო დრო გამოყენებულ იქმნას და, 1864 წლის მზგავსად, გადიდოს ახლაც ნაწილი საკომლოების ფულისა საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად.

ისტორიულ მიმოხილვიდანა ვნახეთ, ხოლო ახლა ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის ყოველ-წლიურ

ანგარიშებიდანაცა ვხედავთ თვალ და თვალ, რა დიდს დაწესებულებას დაედო საფუძველი რაღაც 80. 000 მანეთის გადადებითა. თუ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ხელიდან არ გაუშვებს დღევანდელს ბედნიერ

შემთხვევას და გამოიღებს თუნდ 15%-ს მაშინდელ 20%-ის მაგიერ, მაინც შესდგება დიდი თანხა 400,000 მანეთამდე. საჭირო არ არის წინდაწინვე გადაწყვეტილ იქმნას, რა საჭიროებასა და რა საქმეს მოხმარდეს მომავალი დასაარსებელი თანხა. ამ ჟამად სასურველია მხოლოდ დამტკიცდეს და წესიერად აღინიშნოს თანხმობა სათავად-აზნაურო საგუბერნიო კრებისა, რომ ამდენ-ამდენი პროცენტი მისაღების ფულისა გადადებულ იქმნასო, ხოლო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება მიეცეს ამ თანხას, შემდეგ იყოს.

წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო დიდს ზნეობრივს მნიშვნელობას აწერს იმ მოწოდებას, რომელიც საგუბერნიო კრებამ შეიმუშავა და რომლითაც მიჰმართა თავად-აზნაურობას – ჩაუყაროთ საძირკველი, ჩვენთა მამა-პაპათა მზგავსად. ისეთს საქმეს, რომელიც დიდს სამსახურს გაგვიწევს ჩვენს ნივთიერს დაქვეითებაში.

შესაძლოა ახლანდელი თაობა ვერც-კი მოესწროს და სავსებით ვერ იხილოს თავის თვალით ნაყოფი თვის მიერ განზრახულის საქმისა, მაგრამ შემდეგი თაობა, ჩვენს მაგიერ ჩამდგარი ცხოვრებაში, მოახერხებს და საერთო სიკეთისათვის გამოიყენებს ჩვენ მიერ დატოვებულ სამკვიდრებელს და მადლობით მოიხსენიებს იმათ, ვინც დაიწყო ეს საკეთილო საქმე, სწორედ ისევე, როგორც ჩვენ ვიხსენიებთ მადლობითა და მოწიწებით ჩვენს მამა-პაპას იმ დაულევნელ საუნჯის შექმნისათვის, რომლითაც საზრდოობს ყოველი ჩვენი საზოგადო დაწესებულება.

წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს იმედი აქვს, რომ საგუბერნიო კრება სრულის თანაგრძნობით მოეკიდება ასეთს განზრახვას და სთხოვს ამიტომ, თვისის გარდაწყვეტილებითაც დაადასტუროს საქმის დაწყების სურვილი და აგრედვე ამიერიდგანვე აღნიშნოს ის სახელმძღვანელო წეს-რიგი, რომელიც საჭირო იქმნება განზრახულ საქმის განსახორციელებლად.

თავის მხრივ წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო საჭიროდ და სასარგებლოდ სთვლის ყურადღება მიაქციოს შემდეგსა:

1. საკომლოების გამოსასყიდ ფულიდან 15%-ს გადადება განსაკუთრებულის თანხის შესადგენად განხი-

ლულ უნდა იქმნას თავად-აზნაურთა სამაზრო კრებაზედ და კრების თითოეულმა მონაწილემ ხელი უნდა მოაწეროს გადაწყვეტილებაზედ, რომ მისთვის სავალდებულოა იმ 15%-ის გადადება.

2. ვინც კრებას არ დაესწრება, მაზრის წინამძღოლმა უნდა სთხოვოს, ცალკე წერილი გაუგზავნოს და შიგ მოიხსენიოს, თანხმა ვარ, რაც საკომლოების გამოსასყიდი ფული მერგება, იქიდან ამდენი % გადავდო განზრახულ თანხის სასარგებლოდაო.

3. მაზრის წინამძღოლთ უნდა წარმოუდგინონ წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს ყველა ნამდვილი ასლი გადაწყვეტილებისა ფულის გადადების თაობაზედ და აგრედვე ნამდვილი ასლი წერილისა ამავე ფულის გადადების შესახებ ცალკე თავადისა ან აზნაურისა.

4. წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ თვით უნდა იკისროს და შეადგინოს თითოეულ მაზრისათვის სია იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც მისაღები აქვთ საკომლოს ფული და ეს სიები დაუგზავნოს ყველა შესაბამ დაწესებულებას.

5. თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ უნდა მისცეს უფლება წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს – მისის სახელით იმოქმედოს ყველგან, საცა საჭირო იქმნება, ამ საქმის განხორციელებისათვის იქონიოს მიწერ-მოწერა მთავრობასთან და მოურიგდეს კერძო კაცთა და დაწესებულებათ ისე, როგორც საჭიროდ დაინახავს.